ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-15. 15232372**

თარიღი:**25/08/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინის) ჟუჟუნა ფუტკარაძისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე №3/465-17; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №3/-365-21); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინება (საქმე №ბს-1217 (კ-21)) აღსრულების მიზნით, ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა №15-ში მცხოვრები ევგენია ლეონავას (აწ. გარდაცვლილი) ანდერძისმიერ მემკვიდრეს ჟუჟუნა ფუტკარაძეს (პ/ნ: 33001005601) უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ლერმონტოვის ქ.№103-ში მდებარე 35,20 კვ.მ. ფართის ბინა №13ა (სადარბაზო 1, სართული 7; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.046.01.013ა) და საკუთრებაში გადასაცემი ბინის სარემონტო თანხა 1 კვ.მ.-ზე 250 ლარის ოდენობით, სულ 8800,00 (რვა ათას რვაასი) ლარი.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ჟუჟუნა ფუტკარაძის (პ/ნ: 33001005601) სახელზე გასცეს შესაბამისი საკუთრების უფლების მოწმობა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქ ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი